II

ტესტი ისტორიაში

2015

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

პირველი ტიპის დავალებაში თქვენს მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

სხვა ტიპის დავალებებში თქვენს მიერ დაშვებული შეცდომა აუცილებლად უნდა გადახაზოთ (არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ფრჩხილები!) და ზემოთ დააწეროთ სწორი პასუხი.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის განკუთვნილი ადგილები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ აბიტურიენტს ეძლევა 2,5 საათი.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტესტში არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელი სამეფოს განადგურება უკავშირდება ძვ. წ. XIII საუკუნეში დასავლეთიდან შემოჭრილი ე.წ. „ზღვის ხალხების“ სახელს?

ა. მითანის
ბ. ეგვიპტის
გ. სპარსეთის
დ. ხეთების

2. რატომ განაპირობებდა პოლისებში არსებული შიდა დაპირისპირება და სამოქალაქო ომები ბერძნული კოლონიზაციის განვითარებას?

ა. დამარცხებული მხარე ხშირად იძულებული იყო დაეტოვებინა პოლისი და ახალი საცხოვრებელი ადგილი ეძებნა
ბ. მეომარი მხარეები დამატებით სამხედრო ძალებს ქირაობდნენ და სანაცვლოდ პოლისში დასახლების უფლებას აძლევდნენ
გ. გამარჯვებულებს უფლება ეძლეოდათ, თავისი პოლიტიკური მომხრეები სხვა ადგილებიდან პოლისში გადმოესახლებინათ
დ. გამარჯვებულები იღებდნენ ვალდებულებას დამარცხებულთა ქონებით საზღვაო ექსპედიციები დაეფინანსებინათ

3. რა იყო ბერძენ-სპარსელთა ომების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

ა. ბერძნების მიერ სპარსელთა მოკავშირე ფინიკიური ქალაქების დაკავება
ბ. ბერძენთათვის სპარსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ვაჭრობის აკრძალვა
გ. მცირე აზიაში მცხოვრები ბერძნების აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ
დ. სპარსელების მიერ ბერძენთა მოკავშირე მაკედონიის სამეფოს დაპყრობა

4. რა იყო ჰანიბალის სამხედრო გეგმის არსი მეორე პუნიკური ომის დაწყების წინ?
ა. სამხედრო მოქმედებების აპენინის ნახევარკუნძულზე წარმართვა
ბ. რომისა და იტალიის სხვა ქალაქების საზღვაო ბლოკადა
გ. რომის წინააღმდეგ გერმანული ტომების გამოყენება
დ. პირენეის ნახევარკუნძულზე თავდაცვითი ომის წარმოება

5. რას გულისხმობდა იმპერატორ კარაკალას მიერ 212 წელს გამოცემული ედიქტი?
ა. იმპერიის ყველა თავისუფალი მცხოვრებლისათვის რომის მოქალაქეობის მინიჭებას
ბ. ქრისტიანთათვის თავისუფალი ღვთისმსახურების შესაძლებლობის მიცემას
გ. პატრიციებისთვის კონსულების არჩევნებში მონაწილეობის ნების დართვას
დ. ჰუნებისათვის იმპერიის ტერიტორიაზე დასახლების უფლების ბოძებას

6. სხვა ცვლილებებთან ერთად, რას მოიცავდა დიოკლეტიანეს მიერ განხორციელებული რეფორმა?
ა. ოლიგარქიის დაარსებას
ბ. ტეტრარქიის შემოღებას
გ. არისტოკრატიის დაფუძნებას
დ. პრინციპატის შექმნას

7. რამ გამოიწვია დაპირისპირება ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის?
ა. საეკლესიო გადასახადების გაზრდამ
ბ. ხატმებრძოლეობის დაწყებამ
გ. ეკლესიის რეორგანიზაციის გადაწყვეტილებამ
დ. ნესტორიანელთა მხარდაჭერამ

8. რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 843 წელს?
ა. განადგურდა უილიამ დამპყრობლის საჰერცოგო
ბ. დაემხო ალარიხის სახელმწიფო
გ. დაიშალა კარლოს დიდის მიერ შექმნილი იმპერია
დ. განადგურდა ატილას სამეფო

9. რამ შეუწყო ხელი ქართველთა და აფხაზთა სამეფოების გაერთიანებას X საუკუნის დასასრულს?
ა. თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობამ
ბ. ორივე სამეფოს ტახტზე ერთი და იგივე მემკვიდრის არსებობამ
გ. გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოს მიერ ქართლის დაკავებამ
დ. აფხაზთა სამეფოს უკანასკნელი მმართველის ანდერძმა

10. რა სახელწოდებითაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში XI საუკუნის 80-იან წლებში მიმდინარე პროცესი?

ა. მუჰაჯირობა

ბ. ოსმალობა

გ. დიდი თურქობა

დ. ყიზილბაშობა

11. რამ განაპირობა ფილიპე IV-ის მიერ გენერალური შტატების მოწვევა XIV საუკუნის დასაწყისში?

ა. ინვერსტიტურისთვის ბრძოლის გამწვავებამ

ბ. ასწლიან ომში დამარცხებამ

გ. დაპირისპირებამ რომის პაპთან

დ. მდიდარი მოქალაქეების აჯანყებამ

12. როგორ შეუწყო ხელი ახალი ტიპის გემის, „კარაველას“ შექმნამ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს?

ა. გემის გიგანტური ზომები დიდი რაოდენობის ჯარის გადაყვანას უწყობდა ხელს

ბ. ნიჩბების დიდი რაოდენობა ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვას აადვილებდა

გ. მარტივად სამართავი იყო და არ მოითხოვდა სპეციალურად გაწვრთნილ კაპიტნებს

დ. კარგად იყენებდა ქარს და შორ მანძილზე გადაადგილების საშუალებას იძლეოდა

13. რა გახდა რეფორმაციის დაწყების უშუალო საბაბი?

ა. ლათინურ ენაზე წირვის აკრძალვა

ბ. რაინდული ორდენების წარმოქმნა

გ. ინდულგენციებით ვაჭრობა

დ. კონკლავის გაუქმება

14. რა არის XVII საუკუნის საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის ერთ-ერთი შედეგი?

ა. საქართველოს ანტიოსმალურ კოალიციაში გაერთიანება

ბ. ქვეყანაში პირველი კათოლიკური საეპისკოპოსოების დაარსება

გ. პირველი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელის ჩამოყალიბება

დ. საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ვითარების აღწერა

15. რომელ სახელმწიფოს უპირისპირდებოდა პეტრე I შავ ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად?

ა. ოსმალეთს

ბ. ავსტრია-უნგრეთს

გ. ინგლისს

დ. ირანს

16. რამ აიძულა სოლომონ II, დათანხმებულიყო იმერეთის შესვლას რუსეთის მფარველობაში?

ა. ლეკიანობის გახშირებამ

ბ. ლევან დადიანის თავდასხმებმა

გ. სამეფოში რუსული ჯარის შეჭრამ

დ. ერეკლე II-ის დაჟინებულმა თხოვნამ

17. რა იქცა აშშ-ის სამოქალაქო ომის მთავარ მიზეზად?

ა. ბრიტანეთისაგან განთავისუფლება

ბ. მონათმფლობელობის არსებობა

გ. ინდიელთა რეზერვაციების ჩამოყალიბება

დ. დასავლეთში მიწების ათვისება

18. რას უწყობდა ხელს თერგდალეულთა მოღვაწეობა?

ა. სოციალისტური იდეების გავრცელებას საქართველოში

ბ. ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას

გ. ეროვნული რეფორმების სწრაფ და უკეთ განხორციელებას

დ. საზოგადოების მომავალი რევოლუციისათვის მომზადებას

19. რა იყო რუსეთის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმის ერთ-ერთი მიზანი?

ა. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდება

ბ. პოლონეთის დაუფლება

გ. ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვება

დ. შუა აზიის დაპყრობით ინდოეთისაკენ გაჭრა

20. რა იყო საფრანგეთის დელეგაციის მთავარი მიზანი ვერსალის კონფერენციაზე?

ა. გერმანიის უკიდურესი დასუსტება

ბ. ავსტრია-უნგრეთისაგან ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნება

გ. გერმანიასა და საფრანგეთს შორის ახალი ბუფერული სახელმწიფოების შექმნა

დ. ერთა ლიგის შექმნის გზით ახალი პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბება

21. რა მიზეზით *<u>არ დაკმაყოფილდა</u>* საქართველოს მოთხოვნა, მიეღოთ ერთა ლიგაში?

ა. საქართველო-სომხეთს შორის ომის გამო

ბ. აზერბაიჯანთან არსებული სადაო ტერიტორიების გამო

გ. თურქეთთან არსებული დაძაბული ურთიერთობის გამო

დ. საბჭოთა რუსეთის მოსალოდნელი თავდასხმის გამო

22. საბჭოთა კავშირის რა ქმედება იქცა ერთა ლიგიდან მისი გარიცხვის მიზეზად?

ა. ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა ოკუპაცია

ბ. პოლონეთში შეჭრა

გ. ფინეთზე თავდასხმა

დ. რუმინეთის ტერიტორიის ანექსია

23. რამ აიძულა იტალიის მეფე, მუსოლინი მთავრობის მეთაურად დაენიშნა?

ა. შავხალათიანთა რაზმების მიერ მოწყობილმა სამხედრო პუტჩმა

ბ. ფაშისტთა მიერ მოწყობილმა მარშმა რომზე

გ. საპარლამენტო არჩევნებში ფაშისტური პარტიის გამარჯვებამ

დ. გერმანიის მხრიდან სამხედრო აგრესიის მუქარამ

24. რა შედეგით დასრულდა კარიბის კრიზისი?

ა. კუბაში დემოკრატიული მმართველობა დამყარდა

ბ. გაუქმდა საბჭოთა კავშირის სამხედრო ბაზები კუბაში

გ. კუბა გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად

დ. კუბაში განთავსდა საბჭოთა კავშირის ატომური რაკეტები

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ირანის ძველ ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. სასანიანთა სახელმწიფოს შექმნა
2. ბერძენ-სპარსელთა ომები
3. აქემენიანთა სახელმწიფოს განადგურება

26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVII საუკუნის ინგლისში განვითარებული მოვლენები:

1. კრომველის ერთპიროვნული მმართველობის დაწყება
2. „ხანგრძლივი პარლამენტის“ მუშაობის დაწყება
3. ინგლისის რესპუბლიკად გამოცხადება

27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XVI-XVII საუკუნეების საქართველოში განვითარებული მოვლენები:

1. სიმონ I-ის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ
2. ლუარსაბ I-ის ბრძოლა ყიზილბაშთა წინააღმდეგ
3. ქართველების მასობრივი გასახლება კახეთიდან ირანში

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XX საუკუნეში მომხდარი მოვლენები:

1. ჰელსინკის შეთანხმება
2. კორეის ომი
3. ვიეტნამის ომი

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ ილუსტრაციები. გააანალიზეთ მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

29.

წარწერა (რუსულად) ილუსტრაციაზე - „საიუბილეო 1812-1912; საერობო ფოსტა.“

კითხვები:

(1) 29.1. რა სახის ნაბეჭდი პროდუქციაა წარმოდგენილი ილუსტრაციაზე?

(2) 29.2. რომელ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებითაა გამოშვებული წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქცია და რომელი მონარქის სახელს უკავშირდება ეს მოვლენა?

(2) 29.3. რომელ სახელმწიფოში გამოუშვეს წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქცია? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ მხოლოდ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(1) 29.4. რა კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა წარმოდგენილი ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვება?

30.

წარწერა (ინგლისურად) პლაკატზე „მშრომელი ქალი ფრონტისათვის გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ“.

კითხვები:

(1) 30.1. რა იდეას უწევს პროპაგანდას პლაკატი?

(2) 30.2. რა გარემოებამ განაპირობა ამ იდეის პროპაგანდის საჭიროება? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ მხოლოდ პლაკატზე არსებული ინფორმაციის მიხედვით.

(2) 30.3. რომელი კონკრეტული ისტორიული მოვლენის დროს შეიქმნა წარმოდგენილი პლაკატი და მასზე არსებულ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?

31. ქვემოთ მოტანილი ორივე ილუსტრაცია ეძღვნება ერთ ისტორიულ მოვლენას.

№1



№2

კითხვები:

(2) 31.1. რომელ სახელმწიფოში განვითარებულ და რა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას ასახავს მოცემული ილუსტრაციები?

(1) 31.2. ილუსტრაციებზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნები?

(1) 31.3. რა შედეგით დამთავრდა მოვლენა, რომელსაც ეძღვნება წარმოდგენილი ილუსტრაციები?

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

32. იტალიის გაერთიანება

XIX საუკუნის შუა ხანებში იტალიის საზოგადოებაში ქვეყნის გაერთიანების გზებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა. ერთნი მაძინის ემხრობოდნენ, რომელიც იტალიის გაერთიანებას რევოლუციის, აჯანყების გზით გეგმავდა. სხვანი კი მაძინის იდეის წინააღმდეგი იყვნენ.

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც მაძინის მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც მაძინის მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

33. მხოლოდ რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე უპასუხეთ დასმულ კითხვებს:

(2) 33.1. ჩვენ წელთაღრიცხვამდე რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) 33.2. რომელ სახელმწიფოებს შორის მომხდარი ბრძოლებია ასახული რუკაზე?

(2) 33.3. რომელი სახელმწიფოს გაძლიერებაა ასახული რუკაზე და მასზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს თქვენ მოსაზრებას?

(1) 33.4. დაასახელეთ ისტორიული მხარეები, რომლებიც არც ერთ სახელმწიფოში არ შედის და სადაც არავის ულაშქრია.

(1) 33.5. დაასახელეთ ისტორიული მხარე, რომელიც ერთ-ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში მაინც შედის.


ბალტიკის ზღვა
ბელორუსი
ბალტიკისპირეთი
ბალტიკისპირეთი
ბალტიკისპირეთ

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

34. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი თხზულებიდან[1]

რადგან მონღოლები არ მშვიდდებოდნენ და სხვა ხალხებს ანადგურებდნენ და აოხრებდნენ, ქართველები მუდამ მათთან ერთად იბრძოდნენ თავისი მამაცობის გამო. ყაენმა მოიხმო მეფე დავითი და მისი ჯარი, რათა ისინიც წასულიყვნენ ეგვიპტეში. მეფე ფიქრობდა: „წავიდე ეგვიპტეში, თუ განვუდგე ყაენს?“. მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. იგი მაინც გაემართა მისრეთისკენ საომრად, მაგრამ როცა ჯავახეთს მიაღწია, გადაწყვიტა განდგომა. მან მოუწოდა თავის მრჩევლებს და უთხრა: „ვისაც სურს, წამოვიდეს ჩემთან ერთად, ხოლო ვისაც არ უნდა, წავიდეს მისრეთში და დაიცვას ყაენის ქვეყანა. ყველამ თავისი ნებით გადაწყვიტოს. მე კი აღარ მსურს მონღოლთა მონობა ხოჯა-აზიზის ძალადობის გამო, რომელიც ჩემზე საბატონოდ დაადგინა არღუნმა. მე აღარ შემიძლია ასეთი შეურაცხყოფის მოთმენა.“ დიდებულები ზოგი დაეთანხმა, ზოგი კი - არა. მეფემ გადაწყვიტა განდგომოდა ყაენს. უმრავლესობა მაინც წავიდა ყაენთან. მეფემ მოუწოდა ციხისჯვარელ სარგის ჯაყელს, რომელიც სამცხის სპასალარი იყო და უთხრა, რომ განდგომოდა ყაენს. სარგისი დასთანხმდა და წამოიყვანა სამცხეში. დაბრუნდა ეგვიპტელ სულთანთან ბრძოლაში გამარჯვებული ყაენი, რადგან სძლია მათ და ააოხრა. იქ ქართველებმა ძლიერად იბრძოლეს. იკითხა დავითის ამბავი და როცა შეიტყო მისი განდგომის ამბავი, მოუწოდა არღუნს, დაადგინა იგი მხედართმთავრად, მისცა ოცი ათასი მხედარი და უბრძანა ქართველებს, რომლებიც მას ემორჩილებოდნენ, წაჰყოლოდნენ არღუნ ნოინს სამცხეში და შებრძოლებოდნენ მეფეს. მეფემ მოუწოდა მესხებს, შავშ-კლარჯებს და მათ, ვინც მის ერთგულად რჩებოდა, შეკრიბა რვა ათასი მხედარი და დაადგინა მხედართმთავრად სარგის ჯაყელი, კაცი მხნე და გამბედავი, მრავალჯერ გამოცდილი და სახელოვანი ბრძოლებში, ტანით ახოვანი, ჩინებული მებრძოლი მხედარი, მამაცი მოისარი, კარგი მონადირე. ქართველები შეებრძოლენ მონღოლებს. წინ მესხები მიდიოდნენ და პირველ შეტაკებაში დაამარცხეს მონღოლები. არღუნმა თავის ჯარს მოუწოდა, მაგრამ რა ნახა ქართველთა ჯარი, გაქცევა უნდოდა. ქართველმა დიდებულებმა დაუშალეს გაქცევა.

[1] *„ქართლის ცხოვრება“, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერონი“, თბილისი, 2012*

მათ მეთაურობდა კახა თორელი, რომელმაც უთხრა: „ჩვენ ვიცით ქართველთა ბრძოლის წესი. თქვენ წილ ჩვენ ვიბრძოლებთ“. ასე დაარწმუნეს და ისიც გაჩერდა და მოემზადა საომრად. როცა მიუახლოვდნენ ერთმანეთს, პირველ შეტაკებაში სძლია მეფის ჯარმა. მაგრამ, როგორც აქვთ ჩვეულება მონღოლებს - გაქცევა და უკან მობრუნება, ახლაც ასე მოიქცნენ და მოულოდნელად მობრუნდნენ. მაშინ დაბნეული მეფის ჯარი სწრაფად გაიქცა.

მეფე დავითი კვლავ მოვიდა შავშეთში და სამცხეში. როცა ნახა მოოხრებული სამცხე, მოუწოდა თავის მრჩევლებს და ჰკითხა, თუ რა ექნათ - მონღოლებთან ომი აღარ შეიძლებოდა. მაშინ სარგის ციხისჯვარელმა უთხრა: „სამცხე არ არის კარგი ადგილი მეფეთა საცხოვრებლად. ახლა გირჩევ წახვიდე ლიხთ იმერეთში, რუსუდანის ძე დავითთან, რადგან ორივესია თანასწორად ეს სამეფო. მე გაძლევ ჩემს თავს, საქონელს და ლაშქარს, მოიხმარე, როგორც გენებოს. თუ დავითი კარგად მიგიღებს, ხომ კარგი და თუ არა, ჩემი სიმდიდრე შენს განკარგულებაშია, შენც ნუ დაიშურებ შენს საგანძურს, დაველაპარაკოთ იმერეთის თავადებს, მივცეთ საგანძური და ჩვენს მხარეს დავიყენოთ.“ წავიდნენ. მივიდნენ ქუთაისში, სადაც მიეგება მათ რუსუდანის ძე და კარგად მიიღო. დარჩნენ იქ ერთ წელიწადს. რუსუდანის ძემ კარგად უმასპინძლა ლაშას ძე დავითს, მაგრამ ასევე მოექცეოდა იგი უცხოსაც. მოხდა განხეთქილება ლიხთ-იმერეთში - ზოგი ლაშას ძეს მიემხრო, ზოგი რუსუდანის ძეს. იყო აშლილობა და შფოთი იმერეთში. სხვა ღონე აღარ იყო, გადაწყვიტეს ორად გაეყოთ სამეფო და საგანძური და ასე მოხდა სამეფოს გაყოფა და შეიქმნა ორი სამეფო. ხოლო უმეფო გახდა ამიერ საქართველოს სამეფო, დაიშალა ლაშქარი და მონღოლთა სამსახური.

ინება ყაენმა დაზავება მეფესთან. მეფეს თან წაჰყვა სარგისი. წავიდნენ და მივიდნენ ყაენთან ბარდავში. ყველას ეგონა, რომ მეფეს და მის დიდებულებს სიკვდილით დასჯიდნენ. ჰკითხა მეფეს ყაენმა: „რატომ გადამიდექი და ჩემს ბრძანებას რატომ აღარ დაემორჩილე და არღუნს შეებრძოლე?“ მეფეს რაკი არ ჰქონდა პასუხი, მოიხედა უკან სარგის ჯაყელისკენ. სარგისმა არ იცოდა მონღოლური ენა. ამიტომ წამოაყენეს სადუნი თარჯიმნად. სადუნი იყო გონიერი, კარგად მოსაუბრე და ყაენის წინაშე მარჯვედ მეტყველი. სარგისმა მიუგო: „დიდო ყაენო, მიზეზი ის იყო, რომ ხოჯა-აზიზმა წაართვა დავითს მეფობა, ქალაქები და სოფლები, მან დაიკავა ეკლესიები, ციხეები დაარღვია.“ სადუნი კარგად თარგმნიდა და ალამაზებდა მეფის ნათქვამს, რადგან მეფე ცოტა ენამძიმე იყო, მანკაბერდელი სადუნი კი კარგი მოსაუბრე. ყველა მოელოდა მეფისთვის ცუდ განაჩენს და სარგისის სიკვდილს. მაგრამ ღმერთმა მოუვლინა წყალობა მის მოიმედეებს და დაიცვა, როგორც ყოველთვის იფარავს ხოლმე. და როცა მეფე და ყაენი საუბრობდნენ, მოვიდა დარუბანდიდან გზის მცველი. შევიდა ყაენთან და მოახსენა: „არ არის ლაპარაკის დრო, რადგან დაიძრა

დიდი ყაენის, ბათუს ულუსი და მისი შვილი ყაენი ბერქა და მოდიან დარუბანდის გზაზე მეტად დიდი ლაშქრით.“ ყაენმა მაშინვე მოუწოდა თავის ჯარს. წამოვიდნენ საომრად. როცა ორივე ჯარი მიუახლოვდა ერთმანეთს, შეევედრა მეფე ყაენს, რათა იგი და მისი ჯარი ყოფილიყო წინამბრძოლი. წესიც იყო ქართველთა წინამბრძოლობა. ყაენი დაეთანხმა. იყო ძლიერი და ფიცხელი ომი. გარბოდა ბერქას ჯარი. გამარჯვებულნი და სახელოვანნი მივიდნენ ბარდავში. მეფეს და მის ჯარს დიდი პატივი მიაგო და მრავალი საჩუქარი მიართვა. სარგის ჯაყელს კარნუქალაქი და შემოგარენი მიწები უბოძა წყალობის წიგნით.

კითხვები:

(1) 34.1. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდიოდნენ მონღოლები საომრად მისრეთში?

(1) 34.2. თქვენ რომ მათ შორის ყოფილიყავით, ვისაც დავით მეფემ აჯანყების წინ მიმართა, რა პოზიციას დაიკავებდით და როგორ დაასაბუთებდით საკუთარ გადაწყვეტილებას?

(1) 34.3. წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებდით კახა თორელის საქციელს? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად.

(1) 34.4. წყაროს მიხედვით, მონღოლთა რომელმა ჩვეულმა სამხედრო ხერხმა გამოიწვია მეფის ჯარის დაბნევა?

(1) 34.5. წყაროს მიხედვით, რა პრობლემები შეუქმნა მონღოლებს ორივე მეფის ლიხთ იმერეთში ყოფნამ?

(1) 34.6. წყაროს მიხედვით, რა დაასახელა აჯანყების მიზეზად სარგის ჯაყელმა ყაენთან შეხვედრისას?

(1) 34.7. რა ზედწოდებით არის ცნობილი ისტორიაში დავით მეფე, რომლის აჯანყების შესახებაც მოგვითხრობს მემატიანე?

(2) 34.8. რა იგულისხმება მემატიანის სიტყვებში, რომ სადუნი „ალამაზებდა მეფის ნათქვამს“ და რატომ აკეთებდა ის ამას?

(2) 34.9. წყაროს მიხედვით, რა „განაჩენს“ ელოდნენ მეფისა და სარგისისათვის და რა კონკრეტულმა მოვლენამ განაპირობა, რომ ეს მოლოდინი არ გამართლდა?

(2) 34.10. წყაროს მიხედვით, რა შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა მეფეს სარგისის სიმდიდრე და თავისი საგანძური და რა მიზნით?

(2) 34.11. ვინ უბოძა სარგისს კარნუქალაქი და მისი შემოგარენი მიწები და რატომ?

(3) 34.12. წყაროს მიხედვით, მონღოლებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ სად ურჩია წასვლა სარგისმა მეფეს და რა არგუმენტები მოიშველია ამ დროს?